XIV დანართის დამატება 1

მოხსენიებულია მუხლში 6.4

საქართველოს დათქმები

საქართველო

სექტორი:	თევზჭერა
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	საქართველოს მთავრობის დადგენილება N138 „თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, (11 აგვისტო, 2005 წელი)
ღონისძიების მოკლე აღწერა:	თევზჭერის ლიცენზია შეიძლება იქნეს გაცემული მხოლოდ საქართველოს რეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	მეთევზეობის პოლიტიკასთან დაკავშირებული მოსაზრებები.

საქართველო

სექტორი:	სოფლის მეურნეობა
ქვესექტორი:	სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობა
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ (12 ივლისი, 2013 წელი)
ღონისძიების მოკლე აღწერა:	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიე შეიძლება იყოს 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე ან/და საქართველოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ამ კოოპერატივის მიერ განხორციელებულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ფლობს საპაიო შენატანს. უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან/და სხვა კერძო სამართლის იურიდიული პირს (მათ შორის უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს) აქვს უფლება იყოს სასოფლო-სამეურნეო

	კოოპერატივის ასოცირებული წევრი იმ პირობით, რომ მათ გადაიხადეს წევრის შენატანი, ამ კანონის საფუძველზე ან კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. ასოცირებულმა წევრმა შეიძლება მიიღოს მონაწილეობა საერთო კრებაში, მაგრამ მას აქვს მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება. ასოცირებულ წევრს უფლება აქვს მიიღოს დივიდენდები გადახდილი საწევრო შენატანიდან; ის შეიძლება იყოს არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს ან გამგეობის წევრად. ასოცირებული წევრი არ შეიძლება იყოს უშუალოდ ჩართული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ განხორციელებულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის პოლიტიკასთან დაკავშირებული მოსაზრებები

საქართველო

სექტორი:	სოფლის მეურნეობა
ქვესექტორი:	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვა
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ (21 ივლისი, 2010 წელი).
ღონისძიების მოკლე აღწერა:	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა შესაძლებელია საქართველოს მოქალაქის მიერ ან საქართველოში რეგისტრირებული კერძო იურიდიული პირის მიერ. საქართველო იტოვებს უფლებას ძალაში დატოვოს ან შეცვალოს მიღებული ზომები ან მიიღოს ნებისმიერი სხვა ზომა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან მიმართებაში.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	მიწის პოლიტიკასთან დაკავშირებული მოსაზრებები.

საქართველო

სექტორი:	ენერგეტიკა
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	არ არის ინფორმაცია
ღონისძიების მოკლე აღწერა:	საქართველო იტოვებს უფლებას ძალაში დატოვოს ან მიიღოს ნებისმიერი ზომა ენერგეტიკის სექტორთან მიმართებაში.
ღონისძიების მიზეზი ან მოტივაცია:	ენერგეტიკის პოლიტიკასთან დაკავშირებული მოსაზრებები.